ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №12

ქ. ბათუმი **6 მარტი 2019 წელი**

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]” ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტის საფუძველზე - გამარტივებული შესყიდვით, ერთის მხრივ **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო** (ქ.ბათუმი, ვ.გორგასალის ქ.№126), წარმოდგენილი სამმართველო უფროსის მაია ივანიშვილის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ შპს „აჭარსპეცპროექტი” (ქ. ბათუმი, ზვიად გამსახურდიას №19/21), წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯემალ გოგიტიძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“, ვაფორმებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას შეადგინოს და წარუდგინოს შემსყიდველს, საარქივო სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულზე არსებული ფონდსაცავის, კორიდორის, სამუშაო ოთახებისა და სამკითხველო დარბაზის სარემონტო სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (CPV-71320000).

1.2. პროექტები შესრულებული უნდა იყოს შესაბამის პროგრამაში და წარმოდგენილი, როგორც ელექტრონული (კომპაქტური დისკებით, CD ან DVD სახით) ასევე ბეჭდური სახით (სახარჯტაღრიცხვო დოკუმენტაცია A4 ფორმატით, ხოლო საპროექტო (ნახაზები) დოკუმენტაცია A3 ფორმატით, ფერადი, 3 ეგზემპლიარად). ელექტრონულად წარმოდგენილი ფაილები უნდა იყოს PDF ფორმატის და ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს;

1.3. მიმწოდებელმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები აღნიშნულ ობიექტებთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა და პროექტში კორექტირებების შეტანა, შემსყიდველის მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

1.4. პროექტირების პერიოდში, საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი თანხმდება შემსყიდველთან საპროექტო მომსახურების ღირებულების შეუცვლელად.

1.5. სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების პროექტში გათვალისწინება განხორციელდება მომწოდებლის მიერ, საპროექტო მომსახურების ღირებულების შეუცვლელად.

1.6. მიწოდების ადგილი – ქ. ბათუმი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო მომსახურების თანხა შეადგენს 3000 (სამიათასი) ლარს.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

3.2. „მიმწოდებელი” ვალდებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განახორციელოს 2019 წლის 19 აპრილამდე.

3.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

3.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებებისაგან.

4. გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, გაწეული მომსახურება, მისი ხარისხი და ყველა სხვა მახასიათებლები შეესაბამება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიმწოდებლისადმი წაყენებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს და შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2. სარემონტო-სარეკონსრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში გამოვლენილ პროექტირებასთან დაკავშირებულ ყველა სახის უზუსტობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შემდეგ დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში (ანგარიშ-ფაქტურის, სასაქონლო ზედნადების ან მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე).

5.2. ანგარიშსწორება ხორციელდება **უნაღდო** ანგარიშსწორების ფორმით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების თარიღიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობის დარღვევისას

7.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

7.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს), მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 20 %-ის ოდენობით.

7.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10 %-ის ოდენობით.

7.5. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება. ასევე უფლება აქვს შემსყიდველს ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება ამავე მუხლის 7.3. და 7.4. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ერთმა მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება წერილობით უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდემა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

9.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი ან შეამოწმოს შესრულებული სამუშაო. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

10.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და შესრულებული სამუშაოს რეაბილიტაცია.

10.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. შესრულებული სამუშაოს მიღება – ჩაბარება

12.1. შესრულებული სამუშაო ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის და/ან ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) შემდეგ.

12.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებას ახორციელებს საარქივო სამმართველოს სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ავთანდილ ჩახვაძე, რომელიც აფორმებს შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.

12.3. შესრულებული სამუშაოს მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

15. შეტყობინება

15.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. აღნიშნული ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

17. გადასახადები და ბაჟები

17.1. შემსრულებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

17.2. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება „შემსყიდველს“, ხოლო ერთი „მიმწოდებელს“.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ქ. ბათუმი ვ.გორგასალის ქ. №126	ქ. ბათუმი, ზვიად გამსახურდიას №19/21
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველო	**შპს „აჭარსპეცპროექტი”**
საიდენტიფიკაციო კოდი: 245429610	საიდენტიფიკაციო კოდი: 245427364
მიმღების ბანკი: **ს.ს. „თიბისი ბანკი“**	მიმღების ბანკი: **ს.ს. „საქართველოს ბანკი“**
ბანკის კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის №GE62TB7901736010100015	ანგარიშის №GE90BG0000000285162700
სამმართველოს უფროსი მ.ივანიშვილი	დირექტორი: ჯ.ბოგიტიძე